სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

10 დეკემბერი 2025

N 21/12625

შპს „ჯორჯია უნივერსალ“-ს
მის: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა კვირიკე, მე–3 ქ., №10
ელ. ფოსტა: georgiauniversal2018@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 14 ნოემბრის №11371 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) II დანართის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2025 წლის პირველი მაისს №21/4082 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმო მოწყობილია შპს „ჯორჯია უნივერსალ“-ის საკუთრებაში არსებულ ორ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 20.39.05.033 და 20.39.05.034), თუმცა, თანდართულ shp ფაილებში წარმოდგენილია მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 20.39.05.157) და ასევე შპს „ლეგი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 20.39.05.115). იმ შემთხვევაში თუ საწარმო მოწყობილია შპს „ჯორჯია უნივერსალ“-ის საკუთრებაში არსებულ ორ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 20.39.05.033 და 20.39.05.034) გაუგებარია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 20.39.05.157) და შპს „ლეგი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 20.39.05.115) shp ფაილებში წარმოდგენის საკითხი. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია და shp ფაილები საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სკრინინგის განცხადებასა და თანდართულ shp ფაილებში მოცემული უნდა იყოს ურთიერთშესაბამისი ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ბეტონის დამამზადებელი საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მოდელირების ანგარიში უახლოეს მოსახლესთან მიმართებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მიმდებარედ არსებული შპს „ლეგი“-ს საწარმოდან მოსალოდნელი გაფრქვევები;
- სკრინინგის განცხადებაში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებაში კვლავ მითითებულია, რომ „საწარმოს ტერიტორია წარმოადგენს ტექნოგენურ ლანდშაფტს, სადაც ხდებოდა წარსულში ქვიშა-ხრეშის აქტიური მოპოვება და გადამუშავება. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში საპროექტო ტერიტორიას და მოსახლეობას შორის არსებული რელიეფური პირობები (10 მ სიმაღლის ფერდობი), წარმოადგენს აკუსტიკურ ბარიერს და მინიმუმამდე შეამცირებს მტვრის და ხმაურის გავრცელებას მოსახლეობის მიმართულებით. საწარმოს მუშაობა გათვალისწინებულია მხოლოდ დღის საათებში, ამასთან პროექტის განმახორციელებლის მიერ დაგეგმილია სწრაფად მზარდი მარადმწვანე ხე-მცენარეების დარგვა საწარმოს ტერიტორიაზე-პერიმეტრზე, რაც ექსპლუატაციის პერიოდში შეასრულებს ბუნებრივი ეკრანის როლს და ხელს შეუშლის ხმაურის გავრცელებას საწარმოო საზღვრებიდან“. სკრინინგის

განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ბეტონის დამამზადებელი საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშების შედეგები და უახლოეს მოსახლესთან მიღებული ხმაურის დონე, მიმდებარედ არსებულ შპს „ლეგი“-ს საწარმოსთან ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო დანიშნულებით წყალაღება ხდება საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 20.39.05.012) მდებარე ხელოვნური წყალსატევიდან (№1 აუზი), რომელიც წყლით მდინარე კინტრიშიდან მარაგდება, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით ჩამდინარე წყალის ჩაშვება გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ: 202.20.39.05.043.027) მდებარე №2 აუზში, რომელზეც მიმდინარეობს სისტემური რეგისტრაცია (დაინტერესებული პირი – თენგიზ მესხიძე). შესაბამისად, საჭიროა დაზუსტდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის საკითხი მის ტერიტორიაზე ე.წ. სალექარის ექსპლუატაციისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების თაობაზე;
- სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში, სხვადასხვა თავებში (გვ. 13 და 15) მითითებულია, რომ წყალაღება ხორციელდება №2 აუზიდან, ხოლო წყალჩაშვება ხორციელდება №1 აუზში. აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება წყალაღებისა და წყალჩაშვების წერტილების GPS კოორდინატებს, ასევე მე-14 გვერდზე წარმოდგენილ გეგმაზე მოცემულ ინფორმაციას, სადაც წყალაღების წერტილად მითითებულია №1 აუზი (სექცია №1), ხოლო წყალჩაშვების წერტილად – №2 აუზი (სექცია №2). შესაბამისად, მითითებული ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას. გარდა ამისა, გეგმაზე ასევე დატანილია შპს „ლეგი“-ს სალექარი, თუმცა ვერ დგინდება აღნიშნული სალექარის შპს „ჯორჯია უნივერსალი“-ს საწარმოებთან კავშირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, კოდექსის მე-7 მუხლის 5[1] ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12625-21-2-202512101209

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE